ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან პარასკევი, 14 ივნისი 1996 № 49 (274) ფასი 30 თეთრი


# ნარინჯის ჯორდ-დენის კავალრები

## ჰოლანდია 2:0 შვეიცარია

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ვან დერ სარი | 1 | პასკოლო |
| 2 | რაიციგერი | 2 | ჰოტიგერი |
| 3 | ბლინდი | 3 | კენტენი |
| 15 | ბოგარდი | 4 | ენზოსი |
| 4 | ზეედორფი | 13 | ჟანერე |
| 6 | დე ბური | 15 | ვეგა |
| 12 | ვინტერი | 10 | სფორცა |
| 14 | ვიტხე | 17 | ფოგელი |
| 10 | ბერხკამპი | 9 | გრასი |
| 11 | ჰუქსტრა | 11 | შაპუიზა |
| 17 | კრუიფი | 14 | თურქილმაზი |

შეცვლა: ზეედორფი — 18 დე კოკი (26), ჟანერე — 20 კომიზეტი (70), დე ბური — 8 დავიდსი (79), კრუიფი — 9 კლუივერტი (84)

1:0 კრუიფი (65), 2:0 ბერხკამპი (79)

გაფრთხილება: ზეედორფი, ჟანერე, შაპუიზა, თურქილმაზი, გრასი

მსაჯი: ა. უზუნოვი (ბულგარეთი)

13 ივნისი. „ვილა პარკი".

ზურაბ მექველია,
დავით მჭედლიშვილი
ბირმინგემიდან

— წინა შეხვედრაში, შოტლანდიასთან, უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ, დღეს კი ორის შეგდება შევძელით — თქვა მატჩის შემდეგ დენის ბერხკამპმა.

ნარინჯისფერებმა მოიგეს — გამარჯვებულთა განსჯა ფარსაგი რამაა.

შვეიცარია? ამ გუნდისგან ციდან ვარსკვლავების მოწყვეტას, ალბათ, არავინ ელოდა და ამიტომაც ის, რაც წუხელ ვიხილეთ, მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს. ნეიტრალური ქვეყნის შვილებმა ღირსეულად ითამაშეს და ტოლი არაფერში დაუდეს ტიტულოვან მეტოქეს, რაც მნიშვნელოვანწილად, ვფიქრობთ, მათი პორტუგალიელი მწვრთნელის, არტურ ჟორჟეს დამსახურებაა.

— წარმატების მიღწევას ნახევარდაცვაში მობილური თამაშით ვგეგმავდით — თქვა რამონ ვეგამ — მაგრამ მეტოქე შეგვხვდა ძლიერი. მათაც დიდი ბრძოლა შეგვაგებეს მოედნის შუაში. რაც შეეხება თამაშის ბედს, ის ჯორდი კრუიფის გოლმა გადაწყვიტა. მერე კი ჩვენ შევუტიეთ და კონტრშეტევაზე წამოვეგეთ კიდეც.

ძნელია, ვეგას არ დაეთანხმო. ასეთ თამაშებში ყველაფერი პირველ გოლზეა დამოკიდებული, ვინც გაიტანს, ის იგებს. წუხანდელი შეხვედრის 65-ე წუთზე ეს ჰოლანდიამ შეძლო. მარცხენა ფრთიდან ბერხკამპი უტევდა. ის ელვის სისწრაფით მირბოდა, მაგრამ ვეგამ კუთხურზე გადაუგდო. კუთხურიდან ჩაწოდებულს პასკოლო გამოუხტა, მაგრამ ბურთი ვერ დაიჭირა და იგი საჯარიმოს მისადგომებთან ხელმარჯვნივ მდგომ ჯორდის მიუგიდა. კრუიფმა ბურთი მარჯვნიდან მარცხენა ფეხზე გადაიტანა, მეორე მოძრაობით ოდნავ განზე გაიგდო და პასკოლოსგან მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო. დიდი იოჰან კრუიფის ვაჟმა ყველაფერი დახვეწილად შეასრულა და „ისტორიული სამშობლოს" ნაკრებში თავისი პირველი გოლი გაიტანა.



იოჰან ფოგელისთვის დენი ბლინდი დაუძლეველი აღმოჩნდა

მეორე, 14 წუთის შემდეგ გავიდა. ეს მართლაც ღიდებული სანახავი იყო. შვეიცარიელთა შეტევა უშედეგოდ დამთავრდა და ბურთი ვან დერ სარმა დაიჭირა. ის, რაც მან მერე შეასრულა, არ იყო მეკარეთათვის ჩვეული ბურთის შორს გადაგდება. ეს იყო გამოზომილი გრძელი პასი. გოლკიპერმა მეტოქის ნახევრისკენ ზედმიწევნით ზუსტი გადაცემა შეასრულა, მისმა ადრესატმა, პირისპირ გაყვანილმა, დენის ბერხკამპმა კი მეკარისკენ გზა განაგრძო, პირველი დარტყმით პასკოლოს ვერ აჯობა, მაგრამ განმეორებისას ზუსტი იყო.

ამ სწრაფ თამაშს, მართალია, საუკეთესო ვერ ეთქმოდა, მაგრამ მომენტები მაინც მრავლად იყო. სხვათა შორის, ამ პირველობაზე ჩატარებულ შეხვედრათა უმეტესობისგან განსხვავებით, მეორე ტაიმი პირველს სჯობდა.

აი, რა თქვა ამის თაობაზე ჰოლანდიელთა თავკაცმა გუს ჰიდინკმა:

— პირველ ნახევარში მარცხენა ფრთაზე ჰუქსტრამ და ვიტხემ ვერააწყვეს თამაში, რის გამოც შესვენებაზე ეს წყვილი კარგად შევჯორე. ამან ნაყოფი გამოიღო და მეორე ტაიმში მათ იმდენად გამოაკეთეს საქმე, რომ გამიკვირდა კიდეც. დაცვაში თავიდან ბლინდის და ზეედორფის დუეტი გავიყვანე, მაგრამ ზეედორფს შევატყვე, რომ პერსონალურ მეტოქეს ვერ უმკლავდებოდა და ჯიქურ მიიწევდა წითელი ბარათისკენ, ამიტომაც 26-ე წუთზევე შევცვალე. რაც შეეხება ბარხკამპს, მას დღეს ბოლო შანსი მივეცი. თავდამსხმელები სხვებიც გვყავს და ისინი თავიანთ რიგს ელიან. ბერხკამპმა გაამართლა და მესამე თამაშში ძირითადის ადგილი დაიბევა. საბოლოოდ, ამოცანას თავი გავართვით. ის დაძაბულობა, პირველი მატჩის შემდეგ რომ გვქონდა, მოგვეხსნა და ინგლისელებთან თავისუფლად ვითამაშებთ.

არტურ ჟორჟე: — ერთი საათი კარგად ვითამაშეთ, მეორე ტაიმის მეორე ნახევარში კი ველარ ვივარგეთ. ისე, მთლიანობაში ურიგოდ არ გავრჯილვართ. ჰოტიგერს რომ გოლი გაეტანა, სულ სხვა იქნებოდა, თამაში ხომ, ფაქტობრივად, გოლამდე იყო, მაგრამ ხომ იცით, ვერ გაიტან და გაგიტანენ... ძველი ჭეშმარიტებაა. რაც შეეხება ზეედორფს, გასაძევებელი იყო თუ არა იგი, ვერ გეტყვით, რადგან ეს ეპიზოდი კარგად ვერ დავინახე, თუმცა, რომც ყოფილიყო და არ გაეძევებინათ, არ გამიკვირდებოდა. მსაჯები ხომ დიდ ტურნირებზე უხეშად ცდებიან ხოლმე. მესამე მატჩი, შოტლანდიელებთან უძნელესი გველის. ჩვენ ისევე ვითამაშებთ, როგორც აქამდე ვთამაშობდით, მაგრამ ვისზე იქნება ზეწოლა, ჩვენზე თუ სქოთებზე, ეს ინგლის — შოტლანდიის მატჩის შემდეგ გაირკვევა.

### „სარბიელის" რჩეული

ვეთანხმებით „მასტერ-კარდს". ევროპის ჩემპიონატის სპონსორი ფირმის ექსპერტებმა თქვეს, მატჩის საუკეთესო მოთამაშე „არსენალის" დენის ბერხკამპი იყოო. ჩვენი აზრიც იგივეა. მართალია, პირველ ტაიმში დენისს საკმაო ნუნი ჰქონდა, მეორეში ეშმაკური პასებიც შეასრულა, კარშიც არტყა, გოლიც შეაგდო და არც ორთაბრძოლაში დაუზოგავს თავი. კიდევ, ბერხკამპი სიტყვის კაცი ყოფილა, დაიფიცა, გავიტანო და აასრულა კიდეც.



### გიომ, არაო

წინა „სარბიელში" დაბეჭდილმა „დეილი ექსპრესის" ცნობამ, ქინქლაძემ „მანჩესტერ სიტისთან" ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელიო, ალბათ ბევრ ჩვენებურ გულშემატკივარს დასწყვიტა გული. გიორგი ჯერაც ინგლისში ყოფილა, გუშინ შუადღისას შინ დაურეკავს და უთქვამს, რომ კონტრაქტზე ჯერჯერობით არავისთან მომიწერია ხელიო.

## ბულგარეთი 1:0 რუმინეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | მიხაილოვი | 1 | სტელია |
| 3 | ივანოვი | 3 | პროდანი |
| 18 | ცვეტანოვი | 13 | შეიმეში |
| 2 | კიშიშევი | 4 | ბელოდედიჩი |
| 15 | იორდანოვი | 2 | პეტრესკუ |
| 6 | იანკოვი | 5 | ლუპესკუ |
| 7 | კოსტადინოვი | 6 | პოპესკუ |
| 10 | ბალაკოვი | 7 | ლეკეტუში |
| 11 | ლეჩკოვი | 10 | ჰაჯი |
| 8 | სტოიჩკოვი | 11 | მუნტიანუ |
| 9 | პენევი | 9 | რადუჩოიუ |

შეცვლა: ლეკეტუში — 20 მოლდოვანი (27), კოსტადინოვი — 16 ბორიმიროვი (32), ლუპესკუ — 14 გილცა (46), პენევი — სირაკოვი (72), პოპესკუ — 19 ილიე (77), ლეჩკოვი — 13 გენჩევი (90)

გაფრთხილება: კიშიშევი, ცვეტანოვი

1:0 სტოიჩკოვი (3)

მსაჯი: პ. მიკელსენი (დანია)

13 მაისი. „სენტ ჯეიმს პარკი"

ზურაბ ფოცხვერია,
დავით კაკაბაძე
ნიუკასლიდან

ხრისტომ იორდანოვისგან მეტოქის ნახევარზე მიიღო პასი, არ შეყოვნებულა, პირდაპირ კარისკენ წავიდა, უკან მოიტოვა ბელოდედიჩი და პროდანი, სტელია მოძრაობაზე დაიჭირა და ჩემპიონატის უსწრაფესი გოლიც გაიტანა. რა მოხდა ისეთი? სტოიჩკოვს ამაზე ლამაზი ბურთებიც გაუტანია, უფრო სწრაფიც და უფრო სწრაფად შესრულებულიც. მაგრამ არა. ეს გოლი სხვა იყო. ევროპის ჩემპიონატზე, თანაც რუმინელებთან გატანილმა ბურთმა ბულგარეთს მეოთხედფინალში გასვლის შანსი მისცა, რუმინელებს კი ჩემოდნების ჩალაგებაზე დააწყებინა ფიქრი, რადგან ამ თამაშში მინიმალური ანგარიში დაფიქსირდა. ასეთ შემთხვევაში, ისეც ამბობენ, მეტი გოლი არ გასულაო, მაგრამ ეს რომ ვთქვათ, ან ბრმები უნდა ვიყოთ, ანაც ბულგარელთა თავგადაკლული გულშემატკივრები. ვერ გეტყვით, ამ ორთაგან რომელმა სისუსტემ დარია ხელი დანიელ არბიტრ მიკელსენს, მაგრამ ერთი ფაქტია, მუნტიანუს დარტყმის შემდეგ მან ცენტრისკენ არ მიუთითა. არადა, პრეს-ლოჟიდან ისევე ნათლად ჩანდა, რომ ხარიხიდან ასხლეტილ ბურთსა და კარის ხაზს შორის, სულ მცირე, ერთი ბურთი კიდევ ჩაეტეოდა, როგორც ის, რომ პირველი გოლის ავტორი სტოიჩკოვი იყო და არა პენევი (დიმიტარი, ლუბო კი არა).

ამ უსამართლობამ, რომელიც თამაშის 31-ე წუთზე მოხდა, რუმინელებს ფარ-ხმალი ვერ დააყრევინა. პირიქით, ისე მოიმართნენ, სულ შეტევებზე ფიქრობდნენ და ამის გამო დაცვაში ხანდახან ცდებოდნენ. ცალკეულ მომენტებში ბულგარელებს რომ ისევე გამართლებოდათ, როგორც მე-3 ან სულაც იმ წყეულ, 31-ე წუთზე, ანგარიში ნამდვილად სხვა იქნებოდა და ბალკანელებს მისცემდა ხელს, რადგან რუმინელებს რეალური საგოლე მომენტი ერთიც არ ჰქონიათ და ამის მთავარი მიზეზი ბულგარელთა გააზრებული თამაში იყო. არადა, პირველ მატჩში ხუბჩევის გაგდების შემდეგ მათ პრობლემები უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა. დიმიტარ პენევმა დაცვა საგრძნობლად გადააწყო და არც შემცდარა. წინა შეხვედრაში რატომღაც მარცხენა ფლანგზე მოთამაშე კირიაკოვი, რომელმაც სუსტად ითამაშა, ცვეტანოვით შეცვალა. ხუბჩევის ნაცვლად კი დაცვის ცენტრში ნახევარმცველი იორდანოვი გაამწესა. ამან დაცვა წინანდელზე მეტად შეადუღაბა და შუა და წინა ხაზებს საფიქრალად მხოლოდ შეტევა მისცა. ამის მიუხედავად, თამაში ისე განვითარდა, რომ ნახევარმცველები ორმაგად დაიტვირთნენ. როცა რუმინეთმა ლამის მთელი გუნდით შეუტია, ბულგარელმა შუახაზელებმა იერიშების ორგანიზებასთან ერთად დაცვიდან ბურთის თრევაც არ ითაკილეს და ზღვა სამუშაო შეიგდეს ბეჭებზე. ის კი არა, სტოიჩკოვიც ხშირად ჩამოდიოდა უკან, ოღონდ არა ისე, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ფორვარდს თანაგუნდელებისთვის რომ შეეშალა ხელი. ასეთი დონის მოთამაშენი, საერთოდაც, მხოლოდ მეტოქეს უშლიან ხელს და ხშირად მსაჯებსაც (ნერვებს). არადა რუმინელებს კიდე ხელის შეშლა უნდოდათ, როცა ისედაც ვერ აწყობდნენ თამაშს?

ისევ ჰაჯი თუ გაახერხებდა რამეს და მუნტიანუ წაეშველებოდა, თორემ სხვაგვარად პეტრესკუსა და შეიმეშის ჩაწოდებული ბურთი ბულგარელი მცველებისთვის არც ისე ძნელად მოსაგერიებელი ხდებოდა. ვერც ლეკეტუში და პოპესკუ წაეხმარა რუმინელთა შეტევას და იყო ასე უსაქმოდ რადუჩოიუ ჰაჯის ჯარიმას და ჯარიმას შორის. ჯარიმა კი ხან არ გამოუვიდა, ხანაც მიხაილოვმა მოიგერია და ხეირი გვერდზე დარჩა. სხვანაირად არც იქნებოდა. მართალია, ჩაუთვლელ ნაღდ გოლს რუმინელებმა ძალიან არ შესტირეს და არც „სადა ხარ, ჩემო ტოფიკას" მღერა დაუწყიათ, მაგრამ მაინც ვერაფერი მოუხერხეს ბულგარელთა დაცვას. შეტევისგან ხომ სულაც დიდი შიში ჭამეს. ჯერ იყო და, ბალაკოვის პასით გარღვევაზე გასული სტოიჩკოვის ჩაწოდება მოიგერიეს, მერე კოსტადინოვის მიერ კარგ პოზიციაზე გაყვანილ ლეჩკოვის დარტყმას გააყოლეს თვალი, ცოტა ხანში ამ უკანასკნელთა შებრუნებული კომბინაციის უბედურ დასასრულს გადაურჩნენ, მატჩის ჩამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი სირაკოვის ქუსლურით ლეჩკოვის დარტყმისას სტელიას კინაღამ ცხოვრების ინტერესი დააკარგინეს. პროდანის მიერ აცილებული თაურიც არ უნდა მიეცეს დავიწყებას, მაგრამ ეს ალბათ ცოტა ხანში ბევრს არ გაახსენდება, ისევე, როგორც მუნტიანუს მიმართ გამოჩენილი უსამართლობა. ფეხბურთის იღბლიანები და ყოველმხრივ ძლიერები უყვარს და არა უიმედონი. ბოლომდე ასეთი იქნება თუ არა ორი გაფრთხილების გამო კიშიშევამოკლებული ბულგარეთი, ამას დიდი-დიდი თვის ბოლოს ვიხილავთ, მანამდე კი დაჩაგრულ რუმინელებსაც შეგვიძლია ვუქომაგოთ, ვისაც როგორ სურს, თეორიული შანსები ხომ არც მათ დაუკარგავთ.

მატჩის შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე, ყურადღების ცენტრში, ბუნებრივია, ხარიხიდან ასხლეტილი ბურთის კარში გასვლა-არგასვლა იყო. რუმინელთა მწვრთნელმა იორდანესკუმ განაცხადა: „მე ასეთ ეპიზოდებს არასდროს ვუკეთებ კომენტარს. ეს მომენტი ყველამ საკუთარი თვალით ნახა და ტელევიზიის საშუალებითაც არაერთხელ შეეძლო გამეორების ხილვა." ბულგარელთა მეკარე მიხაილოვმა ეს თქვა: „სად დაეცა ძელიდან ასხლეტილი ბურთი, არ დამინახავს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს არ არის უმნიშვნელოვანესი საკითხი, უმთავრესი მსაჯის გადაწყვეტილებაა ბოლოს და ბოლოს, ანალოგიურ შემთხვევაში მსაჯის გადაწყვეტილებამ, თუნდაც არასწორმა, ინგლისის ნაკრებს 1966 წელს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოუპოვა... ეს ჩემი პრობლემა არაა." რუმინელთა კაპიტნის გეორგე ჰაჯის აზრი ასეთი იყო: „ბურთი ნახევარი მეტრით გადასცდა კარის ხაზს. გოლი უდავო იყო! ჩემთვის ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ არბიტრს თუნდაც გვერდითი მსაჯის აზრის გაგებაც არ ჩაუთვლია საჭიროდ." პრეს-ცენტრში ვიდეოჩანაწერის ხილვის მერე ისედაც უეჭველი მთლად დადასტურდა: გოლი ნამდვილად გავიდა. ეს ჯერც ჩვენმა ბულგარელმა კოლეგებმაც უარყვეს.

ახლა კოსტადინოვის ტრავმაზეც. თავად ფეხბურთელმა განაცხადა: „ფეხი საკმაოდ სერიოზულად დავიშავე, მაგრამ ჯერ ვერ გეტყვით ზუსტად, თუ შევძლებ მომდევნო მატჩში გამოსვლას. ეს ხვალ გაირკვევა."

# თემიდა დაბრმავდა



### „სარბიელის" რჩეული

კარლო ანჩელოტი, რომელიც, ალბათ, ახალი სეზონიდან „პარმას" გაწვრთნის, ხრისტო სტოიჩკოვს სათადარიგოთა სკამზე დასმას ველარ გაუბედავს. სკალას გუნდში მისთვის ძნელად იძებნებოდა ძირითადის ადგილი, ევროპის ჩემპიონატზე კი მან ორ თამაშში ორი გოლი შეაგდო და 4 ქულის მოპოვებაში ყველაზე მეტი წილი დაიდო. ამ შეხვედრანიც პირველი და ერთადერთი ბურთი, თანაც მე-3 წუთზე მან გაიტანა, რამაც მნიშვნელოვანწილად მატჩის ბედიც გადაწყვიტა და თამაშსაც სხვა კალაპოტი მისცა. სტოიჩკოვი მერეც ძალიან გაიხარჯა, რომ მოპოვებულისთვის არაფერი დაეკლო და პირიქით შეემატებინა.



# Give My Love to Everybody in Georgia

## კევინ კიგანი ყველა ქართველს სიყვარულით მოიკითხავს

ზურაბ ფოცხვერია
ნიუკასლიდან



კევინ კიგანთან ინტერვიუ ფინალური ტურნირის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შედგენილ გეგმაში გვქონდა. მაგრამ ერთია გეგმა, მეორე — მისი განხორციელება. ამ მხრივ, თამამად შეიძლება ითქვას, ბედმა გაგვიღიმა: ევროპის ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი, ინგლისის 70-იანი წლების ეროვნული ნაკრების ლიდერი, რომელიც ფინალური ტურნირის მატჩებს ერთ-ერთი ბრიტანული ტელეკომპანიისთვის უკეთებს კომენტარს, ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკის" პრესლოჟაში ჩვენს გვერდით აღმოჩნდა. ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა. როცა გაიგო, რომ საქართველოდან ვართ, თავად ჩამოგვიგდო სიტყვა 70-იანი წლების თბილისის „დინამოზე", გაიხსენა ევროპის ჩემპიონთა თასის 1979 წლის გათამაშებაში თავისი მაშინდელი კლუბის, „ჰამბურგის" მატჩები ჩვენს დინამოელებთან.

— პირველ წრეში „ლივერპული" გყავდათ დამარცხებული, სადაც ჩემი სპორტული კარიერის მნიშვნელოვანი პერიოდი გავატარე. ამიტომ მშვენივრად ვიცოდით, რომ მძიმე შეხვედრები გველოდა. როცა ჰამბურგში ყიფიანმა პირველი გოლი გაგვიტანა, ვიფიქრეთ, რომ ვერც ჩვენი საქმეა კარგად. მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ, იხევ თქვენებმა მოგვიყვანეს გონს — „დინამოს" მცველის მიერ შესვენებამდე საკუთარ კარში გატანილმა გოლმა დაგვამშვიდა და მეორე ტაიმში ორი ბურთის გატანა შევძელით. „დინამომ" საპასუხო მატჩის დასაწყისშიც გვაჯობა. გვაჯობა კი არა, პირველ წუთებში თავბრუ დაგვახვია და გოლიც შეგვიგდო. საბოლოოდ, იმჯერადაც მოვახერხეთ თამაშის შემობრუნება და 3:2 მოვიგეთ. ერთი სიტყვით, ძალიან ძლიერი,



**კევინ კიგანს 17 წლის მერეც ახსოვს საქართველო**

ძალიან კარგი გუნდი გყავდათ. დღესაც სიამოვნებით ვიხსენებ არა მარტო იმ მატჩებს, არამედ ქართველ გულშემატკივრებსაც, რომელთა საოცარმა მასპინძლობამ მეც და ჩემი თანაგუნდელებიც მოგვხიბლა.

— **საქართველოში თქვენ ადრეც დიდი სიმპათიით გიხსენებდნენ და „ნიუკასლ იუნაიტედის" მიმართ დღევანდელი ინტერესი იმით არის გამოწვეული, რომ ამ კლუბის მწვრთნელი თქვენ ბრძანდებით.**

— ძალიან მოხარული ვარ, თუ ასეა. ჩემს ბიჭებთან ერთად სიამოვნებით ჩამოვიდოდი თბილისში. არაფერი მექნება საწინააღმდეგო, თუ უეფა-ს თასის წლევანდელ გათამაშებაში „ნიუკასლ იუნაიტედი" თქვენს „დინამოს" შეხვდება. ეს საუკეთესო შესაძლებლობა იქნებოდა, 17-წლიანი შესვენების შემდეგ კიდევ ერთხელ გვენახა ერთმანეთი.

— **ბოლო ორ სეზონში თქვენს გუნდს ფორტუნამ აშკარად ზურგი შეაქცია. შარშანაც და წლეულსაც ახლოს იყავით ჩემპიონის ტიტულთან, მაგრამ ზედ ფინიშის წინ ორჯერვე დათმეთ ოქროს მედლები. რა მიზანს ისახავს „ნიუკასლ იუნაიტედი" მომავალი ეროვნული ჩემპიონატისთვის?**

— რა თქმა უნდა, ამჯერადაც პირველი ადგილისთვის ვიბრძოლებთ. იმედი მაქვს, მომავალ სეზონში ეს ბრძოლა ჩვენთვის უფრო იღბლიანად წარიმართება.

წლეულს, თითქმის თებერვლამდე, ძალიან კარგად ვითამაშეთ, მერე კი რამდენიმე თამაშში სულელურად წავაგეთ. ფორტუნამაც, თქვენი თქმისა არ იყოს, ცუდი თვალით გადმოგვხედა. ამ ნათქვამით სულაც არ მინდა, „მანჩესტერ იუნაიტედის" წარმატება დავაკნინო. მანჩესტერელებმა სრულიად დამსახურებულად მოიპოვეს ჩემპიონის წოდება, ჩვენ კი ვეცდებით, მესამე ცდით მაინც მივაღწიოთ მიზანს.

— **წარმატებას გისურვებთ. ქართველ ჟურნალისტებს, ბუნებრივია, გვაინტერესებს თქვენი აზრი გიორგი ქინქლაძეზე...**

— ქინქლაძე გასული სეზონის მთავარი აღმოჩენა იყო. მით უფრო საწყენია, რომ „მანჩესტერ სიტის" პრემიერ ლიგის დატოვება მოუხდა. ჩემი აზრით, თუ კანტონას არ ჩავთვლით, ქინქლაძე სეზონის საუკეთესო უცხოელი მოთამაშე იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მან ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა გუნდში, რომელიც კარგი თამაშით არ გამოირჩეოდა, იბრძოდა არა მაღალი ადგილებისთვის, არამედ ლიგაში დასარჩენად. მისი შეძენა მრავალ კლუბს სურს და დარწმუნებული ვარ, ყველა მოხარული იქნება, თუ ქინქლაძე, „მანჩესტერ სიტისთან" ერთად, გაისად უმაღლეს ლიგას დაუბრუნდება. იგი ფანტასტიკური ფეხბურთელია და „მანჩესტერ სიტის" ქომაგები მას ტყუილად არ აღმერთებენ.

— **მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში რომელი გუნდები მიგაჩნიათ ფავორიტებად?**

— ფინალური ტურნირი სულ რამდენიმე დღის დაწყებულია. ამიტომ ნაადრევად ვთვლი, ჩატარებული შეხვედრებიდან გამომდინარე, ფავორიტებზე საუბარს. ჯერჯერობით ძირითადად ყველაფერი ისე ვითარდება, როგორც მოსალოდნელი იყო. ვფიქრობ, ტურნირის საერთო დონე საკმაოდ მაღალია. მატჩებზე დასწრების მაჩვენებელიც არ არის ურიგო. მოკლედ, მე მგონი, კიდევ არაერთი საინტერესო დღე გველის.

— **მატჩებზე დასწრება ახსენეთ. ორგანიზატორები, მართალია, კმაყოფილებას გამოთქვამენ გაყიდული ბილეთების რაოდენობით, მაგრამ საფრანგეთ-რუმინეთის შეხვედრისათვის, მაგალითად, 35 ათასი ბილეთიდან ათი ათასი გაუსაღებელი დარჩა.**

— ამას, ჩემი აზრით, სრულიად კონკრეტული ახსნა მოეძებნება. ნიუკასლელი ქომაგები გააწბილა საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში დევიდ ჟინოლას არ ყოფნამ. ჟინოლა ხომ „ნიუკასლ იუნაიტედის" ერთ-ერთი ლიდერია და აქ უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. დარწმუნებული ვარ, ემე ჟაკეს იგი ნაკრებში რომ შეეყვანა, „სენტ ჯეიმს პარკის" ტრიბუნებზე ტევა არ იქნებოდა.

— **ყვითელი ბარათების სიმრავლეზე და ორ გაძევებაზე რას ფიქრობთ? ეს საკითხი ახლა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული თემაა როგორც ჟურნალისტთა წრეებში, ისე თავად ფეხბურთელებს შორის.**

— ცხადია, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო უეფა-ს ძალისხმევისა, რომელიც უხეში თამაშის ან არასპორტული ქცევის წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული. მაგრამ მაინც მგონია, რომ უეფას მესვეურებმა გადააჭარბეს. არ შეიძლება, მსაჯებს მისცე მითითება, მოთამაშეები ლამის ყოველი შეტაკების შემდეგ გააფრთხილონ. ჯერ ერთი, ფეხბურთი ათლეტური თამაშია და ძალისმიერი ორთაბრძოლა უხეშობასთან არ უნდა გავაიგივოთ. მეორეც: ევროპის ჩემპიონატი კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელთა შეჯიბრია და თუ ასე გაგრძელდა, იგი შეიძლება სათადარიგო მოთამაშეთა ტურნირად იქცეს.



GOALIATH ანონსი

ინგლისი — შოტლანდია. შაბათი, 15 ივნისი. ლონდონი

## შოტლანდია გესქოინს უფრთხის

ინგლისელმა პოლ გესქოინმა შოტლანდიის ჩემპიონატში, მოგეხსენებათ, ყველა შესაძლო ტიტული მოიგო. „რეინჯერსის" შემადგენლობაში ჩემპიონიც გახდა და თასის მფლობელიც. ამასთან, ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელიც ორივე ვერსიით გახდა — გაზა უპირველესად ცალკე ფეხბურთელებმა შერაცხეს, ცალკე — ჟურნალისტებმა.

მაგრამ შაბათს პოლი თავისი თანაკლუბელების (ვისთანაც ერთად ამდენი ოფლი უღვრია) წინააღმდეგ გამოვა ინგლის — შოტლანდიის მატჩში. ჰოდა სქოთებსაც, ყველაზე უკეთ რომ იციან გესქოინის ავანჩავანი, დიდი ბჭობა აქვთ ატეხილი, რა მოუხერხონ მას.

შოტლანდიელთა მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა ყური არ ათხოვა კრიტიკოსებს, რომლებმაც გესქოინს შვეიცარიასთან ნათამაშები მეორე ტაიმი დაუწუნეს და თქვა, ამ კაცს ყველაზე მეტად შეუძლია დაგვამარცხოსო. მერე კი დასძინა, ბევრი ლაპარაკი არ უნდა, პოლი ინგლისის ნაკრების ყველაზე ნიჭიერი მოთამაშეაო.

ბრაუნი გესქოინის ნეიტრალიზებას იმდენად სერიოზულად აღიქვამს, რომ საგანგებო გეგმაც შეუდგენია: „შოტლანდიის ჩემპიონატის მატჩების მიხედვით შევისწავლე, როგორ თამაშობენ გაზას წინააღმდეგ. საინტერესო მომენტები ჩავინიშნე და მათზე დაყრდნობით გეგმა შევადგინე. თუ ჩემმა მოთამაშეებმა იგი შესრულეს, გესქოინი საშიში აღარ იქნება."

შოტლანდიელთა თავკაცი იმაშიც დარწმუნებულია, რომ გესქოინი ორივე ტაიმს სრულფასოვნად ითამაშებს: „მართალია, შვეიცარიასთან მეორე ტაიმში ცოტა დაღლა დაეტყო, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ სხვა გესქოინი გამოვა. ვერ გამიგია, რატომ ავრცელებენ აზრს, თითქოს პოლს მთელი მატჩის ერთ დონეზე ჩატარება არ შეუძლია."

თავად შოტლანდიელი ფეხბურთელები კი სტრედფორდ-ონ-ეივონში ემზადებიან ინგლისთან შესახვედრად. ოთხშაბათს ბრაუნმა სამი მოთამაშე არ ავარჯიშა — აბერდინელი სტიუარტ მაკკიმი, ლიდსელი გარი მაკალისტერი და სელტიკელი ჯონ კოლინზი. ხალხმა იფიქრა, ეს სამეული ინგლისთან არ ითამაშებსო, მაგრამ ბრაუნმა განაცხადა, მათი დასვენება არაფერ კავშირშია მომავალ მატჩთან და შაბათს „უემბლიზე" სამივე გამოვაო.



## ინგლისში კი ლაზარეთია



**ლეს ფერდინანდი**

ინგლისელებს სტივ ჰაუის კოჭის ტრავმა არ მოენელებინათ, რომ ახალი მოთამაშე დაუშავდათ. გუნდის კაპიტანმა დევიდ პლატმა ნეკნის ატკიების გამო, შესაძლოა, შოტლანდიასთან ვერ ითამაშოს.

დევიდს ნეკნი წინა კვირას დაუშავდა, მაგრამ იმკურნალა და ოთხშაბათის ვარჯიშზე თითქოს ჯანმრთელი გამოცხადდა. ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ შუა წვრთნაში, როცა ვენეიბლზმა სწრაფძალოვანი ვარჯიშების დაწყება ბრძანა, პლატმა ტკივილს ვეღარ გაუძლო და მოედანი მიატოვა. იგი დარბაზში გადავიდა და წვრთნა იქ დაასრულა. ამით მისი მატჩში მონაწილეობა საეჭვო გახდა.

სამშაბათს კი დარენ ანდერტონმა მსუბუქად დაიშავა წვივი. ამის გამო ოთხშაბათს მას არ უვარჯიშია. ვენეიბლზს იმედი აქვს, რომ შაბათისთვის ყველაფერი კარგად იქნება.

სამაგიეროდ, მოკეთდა ლეს ფერდინანდი, რომელმაც ოთხშაბათს სრულყოფილად ივარჯიშა. ქალების უბადლო მზახველი ფერდინანდი ერთი კვირის განმავლობაში ებრძოდა საზარდულის ტრავმას და საბოლოოდ საამარცხა იგი.

ტერი ვენეიბლზი კი შემადგენლობას ცოცხალი თავით არ ასახელებს. მომავალ მატჩს კი ამგვარ კომენტარს უკეთებს: „მეუბნებიან, შოტლანდია ფავორიტიაო. სწორია. სქოთები კარგად ეთამაშნენ ჰოლანდიას და ფასიც დაიდეს. ასი პროცენტით ვეთანხმები ამგვარ შეფასებას. ეს მატჩი კი სპეციფიკური იქნება, მოგეხსენებათ, ჩვენს მეტოქეობას რამხელა ტრადიცია აქვს. ჰოდა, ამ ტრადიციაზე უფრო დიდი რამ ბრიტანეთში არ არსებობს."

ესპანეთი — საფრანგეთი. შაბათი, 15 ივნისი. ლიდსი

## გაამართლებს კლემენტეს ცვლილებები?

ესპანელთა მწვრთნელს ხავიერ კლემენტეს გუნდში დიდი ცვლილებები აქვს ჩაფიქრებული. ესპანეთი ხვალ ლიდსში საფრანგეთს ეთამაშება, ხოლო კლემენტე ოფიციალურ შემადგენლობას ჯერ არ ასახელებს. მიუხედავად ამისა, ესპანელთა „გენშტაბიდან" რამდენიმე ცნობამ მაინც გამოჟონა.

პირველი, რასაც კლემენტე გააკეთებს: გილერმო ამორს შეცვლის ექს-ბრაზილიელ დონატოთი და ამ უკანასკნელს ნახევარდაცვის შუაში, ფერნანდო იეროს გვერდით გაამწესებს.

მეორე: ვალენსიელი ხორხე ოტერო დაცვის მარჯვენა ფლანგზე შეცვლის ალბერტო ბელსუეს.

მესამე: ხოსე ემილიო ამავისკა იულენ გერეროს ადგილს დაიჭერს. სხვათა შორის, ბულგარეთთან მატჩის 52-ე წუთზე ამავისკა შეცვლაზე სწორედ გერეროს ნაცვლად გამოვიდა. კლემენტე უკმაყოფილო იყო იულენის თამაშით და ვერაფრით აპატია აშკარა საგოლე მომენტის გაცუდება.

მეოთხე: პიცის გაძევებით იძულებითი შეცვლაა გასაკეთებელი. კლემენტეს დიდხანს უფიქრია და არჩევანი ალფონსოზე შეუჩერებია, თან უთქვამს, ეს ფეხბურთელი უფრო გოლის გამტანი, ვიდრე ხულიო სალინასი ან კიკო ნარვაესიო.

კლემენტე იმედოვნებს, რომ დონატო ნიჭიერ ფრანგ ნახევარმცველებს მოედნის ცენტრში ბურთს მოუგებს. ამასთან, მწვრთნელს დონატოს შეტევების სწრაფად წამოწყების და შორი მანძილიდან კარში დარტყმის უნარიც არ დავიწყნია.



**დონატო**

ხვალინდელ მეტოქე საფრანგეთზე ფერნანდო იერომ ეს თქვა: „საფრანგეთის ნაკრების მოთამაშეები უფრო ინდივიდუალურად მომეწონენ. რაც შეეხება გუნდურ თამაშს, არა მგონია, რუმინელები მათზე ბევრით ნაკლებნი იყვნენ." გილერმო ამორმა კი განაცხადა: „საფრანგეთი ის გუნდია, ვინც თამაშიდან თამაშამდე აუცილებლად მოუ... მატებს."

### პორტუგალიას ბატისტუტა მოუნდა

პორტუგალიამ დანიის წინააღმდეგ მშვენიერი შთაბეჭდილება კი დატოვა, მაგრამ ნებისმიერი შეამჩნევდა, რომ გოლის რიგიანი გამტანი არა ჰყავდა. ამას ნაკრების ნახევარმცველი რუი კოშტაც მიხვდა: „მრავალი კარგი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ ბომბარდირი გვაკლია. აი, გაბრიელ ბატისტუტა რომ გვყავდეს..."

არგენტინელი ბატისტუტა „ფიორენტინაში" კი არის რუი კოშტას თანაგუნდელი, მაგრამ პორტუგალიის ნაკრებში მას გვერდს რომ ვერასდროს დაუმშვენებს, ფაქტია. უფრო რეალისტურად აზროვნებს ოსეანუ. მისი აზრით, სა პინტუს შესანიშნავად შეუძლია შეტევების გოლით დაგვირგვინება. თავად სა პინტუ, დანიის კარში გატანილი გოლის ავტორი ამბობს: „დანიასთან კარგი გაკვეთილი მივიღეთ. გვეცოდინება, რომ მარტო კარგად თამაში არაფერს ნიშნავს. გოლიც უნდა შეაგდო."

კომპიუტერები
პრინტერები
მულტიმედია
პროგრამები
როგორც ნაღდი ანგარიშსწორებით ისე გადარიცხვით
გარანტია 1 წელი
შპს კომპუსი
გარანტიის შემდგომი მომსახურება;
☎ 93-91-03
37-12-96
თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის" პირდაპირ)
11 სართული, ოთახები 1104, 1105

ქარავანის დაესწარი!



რამონ ვეგა

შვეიცარია

25

დღევანდელმა იუბილარმა გუშინ ერთადერთი დასამახსოვრებელი რამ გააკეთა: პერხკამპს ბურთი გადაუგდო კუთხურზე, რომლის შემდეგაც კრუიფმა გოლი გაიტანა. სხვათა შორის ვეგამ მატჩის შემდეგ თქვა, თამაში სწორედ ჯორდის გოლის გამო წავაგეთო.


ბადრი ქუთათელაძის ფოტო

# მე, მეგობრებო, მონოდებით არ ვარ პოეტი

ნათქვამია, ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო. ასევეა ფეხბურთშიც — ყოველივე სიახლე აქაც წარსულიდან იღებს სათავეს. როგორც ჩანს, ამსტერდამის „აიაქსის" მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა გადახედა ფეხბურთის განვითარების ისტორიას და გაიხსენა, რომ პირვანდელი მეკარეები დიდად განსხვავდებოდნენ დღევანდელებისაგან — მათ კარის დაცვისას ხელით თამაში ეკრძალებოდათ. ამ გახსენების შედეგად კი მივიღეთ მეკარე ლიბერო — „აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების მეკარე ვან დერ სარი, ფეხბურთელი, რომელიც კარიდან კარნახობს თამაშის მსვლელობას, მცველებს აზღვევს. მოკლედ რომ ვთქვათ, ჰოლანდიელი თამაშის სტილით პირველი თაობის მეკარეებს გვაგონებს. რა თქმა უნდა, ყველას ახსოვს ექსცენტრიული იგიტას გამოხტომები, ინგლისელი სიმენიც ეხმარება მცველებს, მაგრამ ვან დერ სარის სახით მეკარე — ლიბეროს ყველაზე რაციონალურ და მისაბაძ მოდელთან გვაქვს საქმე.

ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბათუმის მეკარის ნიკა ტოგონიძის თამაშის მანერა წააგავს ვან დერ სარისას.

— ასეთი სტილში თამაში პირველად ხაშურის „ივერიაში" დავიწყე. გუნდს მაშინ ვლადიმერ ხაჩიძე ავარჯიშებდა. ეტყობა, მან ჩემში ისეთი თვისებები დაინახა, აქტიურ თამაშს რომ სჭირდება, და ყოველ ვარჯიშზე ფეხით თამაშის დახვეწას მთხოვდა. თუ არ ვცდები, ბათუმში ჩხარტიშვილმა სწორედ ამის გამო მიმიწვია და იქ უფრო დავოსტატდი ფეხით თამაშში, ჩხარტიშვილი მცველთა დაზღვევასა და დახმარებას მავალებდა. ისე, ვან დერ სართან მსგავსებისა რა მოგახსენო, მაგრამ მაქსიმალურად კი ვცდილობ, ჩემს თამაშში სიახლე შევიტანო. ეს რა თქმა უნდა, იოლი არ არის. პატარა შეცდომა შეიძლება ძვირად დამიჯდეს.

**— ფეხით თამაშის დასახვეწად გუნდთან ერთად ვარჯიშობ?**

— ეს ჩემი ვარჯიშების ერთ-ერთი სავალდებულო კომპონენტია. ჩხარტიშვილი სპეციალურად კვადრატს მავარჯიშებდა, რაც ჩემი სტილის მეკარისთვის აუცილებლად მიმაჩნია.

დიდი დაკვირვება არ დასჭირდება გულშემატკივარს — **მთელი თამაშის განმავლობაში ნიკა დიდძალ ენერგიას ხარჯავს და ბევრსაც ყვირის, რის გამოც თურმე ოჯახში ხშირად საყვედურობენ და მოედანზე ქცევაში „ორიანს" უწერენ.**

— ყვირილი კი არ მეხალისება, უბრალოდ, თამაშისას სხვა გზა არ მრჩება. სხვაგვარად ჩემს ფუნქციას ვერ შევასრულებ და ფეხბურთელს ვერ ვუკარნახებ იმას, რაც კარიდან უკეთ ჩანს. გულახდილად რომ ვთქვა, თავიდან ისე ვერთობოდი ლიბეროს ფუნქციებით, მავიწყდებოდა, მეკარე რომ ვიყავი — ყურადღება მეფანტებოდა. მაგრამ ახლა შევეჩვიე ასეთ სტილს და უკვე ავტომატურად ვმოქმედებ.

საერთოდ, მეკარე-ლიბერო მეტოქეზე უპირატესობის მოპოვების საშუალებას იძლევა. ივი მოედანზე, ფაქტიურად, მეთერთმეტე მოთამაშეა, მოედნის სივრცეც იკლებს და მეკარესა და ფეხბურთელებს შორის უფრო მჭიდრო კავშირიც მყარდება.

-ვინც საქართველოს ჩემპიონატებს გულდასმით ადევნებს თვალყურს, კარგად ეხსომება, რომ ნიკა ტოგონიძე პენალტების აღების დიდი ოსტატია. შარშან, „ივერია" ბათუმის „დინამოს" მატჩში ნიკამ ბათუმელ მაჭუტაძეს სამიდან ორი პენალტი აუღო. მას კიდევ ბევრი მეტოქისთვის ლაუწყვეტია გული.

**— დარტყმის მომენტში რას აქცევ ყურადღებას — მეტოქის თვალებს, მოძრაობას, კუთხეს ირჩევ თუ შენივე მოძრაობით იქეთ ცდილობ დამრტყმელის მოტყუებას?**

— მე დოგმებით არ ვხელმძღვანელობ. შეიძლება დამრტყმელის საწინააღმდეგოდ მშვენიერ ილეთს ფლობდე, მაგრამ ყველა შემთხვევისთვის ერთი ილეთი არ გამოდგება. ყველაფერს წამის მეასედში ვწყვეტ. იმ მომენტში ვფიქრობ დამრტყმელზე, ვითვალისწინებ თამაშის მსვლელობას და ანგარიშს, მოკლედ, სწრაფად ვრეაგირებ ყველაფერზე და გადაწყვეტილებასაც ამის მიხედვით ვიღებ. ისე კი, ეტყობა, ღმერთი მწყალობს, რადგანაც პენალტებს უფრო ხშირად ვიღებ, ვიდრე ვუშვებ.

**— ცნობილია, რომ პენალტების სპეციალისტ მეკარეთა უმრავლესობა მეტოქის პენალტების დარტყმის მანერას წინასწარ ეცნობა. შენც ხომ არ აგროვებ მათ შესახებ ინფორმაციას?**

— რა თქმა უნდა. ეს ასეც უნდა იყოს. ყოველი შეხვედრის წინ ვფიქრობ, რომ იმ დღეს ჩემს კარში შესაძლოა პენალტი დაინიშნოს. პენალტი კი სხვა არაფერია, თუ არა ფსიქოლოგიური დუელი ორ პიროვნებას შორის. გაიმარჯვებს უფრო გამჭრიახი. ბუნებრივია, რაც უფრო მეტი ინფორმაცია გექნება მეტოქეზე, მით უკეთესია.

თავადაც გამიტანია პენალტი. ფოთში „კოლხეთთან" „ივერია" 0:3-ს აგებდა. ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო და ვინ დაარტყამდა პენალტს, ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ამიტომ ბიჭებს უარი აღარ ვუთხარი — დავარტყი და გავიტანე კიდეც.

**... ხაშურიდან ბათუმში გადასვლა ტოგონიძისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. უკეთესი გუნდი, უფრო დიდი მიზნები, თასების თასზე თამაში, ნაკრების ხელმძღვანელთა ინტერესის არეალში მოხვედრა, მაგრამ ტრავმებმა გასულ სეზონში ნიკას, ფაქტიურად, თამაშის საშუალება არ მისცა. სეზონის ახალდაწყებული იყო, მძიმედ რომ დაშავდა, რის გამოც თბილისში „დინამოს" წინააღმდეგ პრინციპულ შეხვედრაში, ფაქტიურად, ექიმების „აწყობილ" ტოგონიძეს მოუწია თამაში ასევე იყო 26 მაისს თასის ფინალშიც — თამაშამდე და შესვენებისას გამაყუჩებელი ნემსები გაუკეთეს. მეორეჯერ ტრავმა საბერძნეთის წინააღმდეგ შეხვედრაში, ნაკრებში თავისი დებიუტისას მიიღო.**

— ამ მხრივ გასული სეზონი ჩემთვის მართლაც უიღბლო გამოდგა. ტრავმების გამო ჩემპიონატის ნახევარი მაინც გამიცდა. ეს დიდი დროა, და მაინც, ვფიქრობ, რომ შევძელი ფორმის აღდგენა და ალბათ, უკეთ თამაშიც. ახლა ღმერთს იმას ვთხოვ, საბერძნეთში მიღებული ტრავმა უკანასკნელი ყოფილიყოს. თუმცა, ცოდვას ვერ დავიდებ — ბერძნები შეგნებულად არ უხეშობდნენ. მიუხედავად ამისა, ორივე მეკარე დავშავდით. ზოიძეც ხომ ტრავმის გამო შევცვალე და ვფიქრობ, არცთუ ურიგოდ. ჩვენები პირველ ტაიმში უკეთ თამაშობდნენ და ამანაც გამამხნევა. სამუშაო მეორე ტაიმში უფრო მომემატა, ბერძნებმა რვა ფეხბურთელი შეცვალეს და ახალი ძალებით შემოგვიტიეს. დაახლოებით 70-ე წუთზე პირისპირ გამოსულ ბერძენ თავდამსხმელს ფეხებში ჩავუვარდი და მაშინ დავშავდი. მოედანზე ჩემი დარჩენა აღარ შეიძლებოდა, გონზე ნიშადურით მომიყვანეს, სუნთქვა შემეკრა, ფეხზე ძლივს ვიდექი. მაგრამ მეკარე აღარ გვყავდა და სხვა გამოსავალი აღარ იყო — უნდა მეთამაშა. თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეორე გოლი გაგვიტანეს, რაშიც მე დავიდე წილი. თუმცა ეს ტრავმის ბრალი იყო. არაფრის გულისთვის დანიშნული კუთხური რომ ჩამოაწოდეს, ინსტინქტურად ბურთის მოსაგერიებლად გამოვედი, ავხტი და უცებ მკერდში ტკივილი ვიგრძენი. ბურთს ვერ შევწვდი და მცირე არეულობის შემდეგ გოლიც გაგვიტანეს.

**— ნაკრებში ნიკას გამოჩენა, შასაძლოა, ბევრს გაუკვირდა, გამოკვეთილი იყო მეკარეთა ის ბირთვი, რომელსაც ჩივაძე ნაკრებში უხმობდა: ზოიძე, დევიძე, გრიშიკაშვილი, ჩხაიძე ტოგონიძე ბოლოსდა გამოჩნდა. ნიკა ამ მიწვევას დიდი ხანი ელოდა, ალბათ, მთელი ცხოვრება.**

— ნაკრებამდე დიდი გზა გამოვიარე და ამისთვის ბევრსაც ვშრომობდი. მადლობელი ვარ ჩივაძის, რომელიც მენდო და ნაკრებში ამიყვანა.

როცა მოედანზე გამოვედი, უდიდესი გრძნობა დამეუფლა. საოცარი რამ ყოფილა — ითამაშო შენი ქვეყნის სახელით და დაიცვა საქართველოს ღირსება.

**— ნიკა პოეზიის დიდი ტრფიალი ყოფილა — შემიძლია მთელი დღეები ვიკითხო ლექსებიო.**

**თავადაც წერს ლექსებს, ოღონდ, არასერიოზულად, ხუმრობ-ხუმრობით. იქადნება — ვაი იმას, ვისაც ავითვალისწუნებო.**

— ლექსები რა არის, მეგობრებს პოემებსაც კი ვუძღვნი, — ეცინება ნიკას. — ჩემი ხუმრობის ობიექტი ვინმეს სასაცილო ნათქვამი ან საქციელი ხდება ხოლმე გასახსენებელი კი მართლაც ბევრია.

ნუგზარ ლობჟანიძე ჩემი ბავშობის მეგობარია. 1988 წელს რუსთავის „მეტალურგში" ერთად ვთამაშობდით (თვითონ ნიკა რუსთავში დაბადებულ-გაზრდილია). ერთ ოთახში ვცხოვრობდით. ჰოდა, ერთხელაც რაღაცაზე გამაბრაზა. ცხელ გულზე სამაგიერო გადავუხადე, რა თქმა უნდა, ლექსით, რომელიც ვარჯიშის დროს ფეხბურელებს წავუკითხე. რა დამავიწყებს ნუგზარის სახეს — გაშმაგებული გამომეკიდა. ჩვენს ინტერვიუს თუ წაიკითხავს, თვითონაც გულიანად გაეცინება და სიმოვნებით გაიხსენებს იმ ტკბილ დროს. ლობჟანიძის გარდა კიდევ ბევრზე მიხუმრია და მიწერია ლექსები.

**... ხუმრობისა და ლექსების წერის გარდა, ნიკას თურმე, ცუღლუტობაც ჰყვარებია. აი, რა მოგვითხრო:**

— ხაშურის „ივერიას" ექიმი, შურა დეკანოზიშვილი, ჩემი და ყველას საყვარელი პიროვნებაა. საფეხბურთო წრეში მას ყველა იცნობს, როგორც შურა პაპას.

ერთხელ თამაშის დღეს, დილით, სტადიონზე მოვიდა. დავინახე თუ არა, ჩემს ოთახში დავწექი. ფეხბურთელებში რომ ვერ შემამჩნია, მყისვე იკითხა: ჩემი ბიჭი, ჩეი. ნიკუშა სად არისო? მალხაზ ლაცაბიძეს და გივი ქობელაშვილს რა გამოეპარებათ, წამსვე მიმხვდარან, რაშიც ყოფილა საქმე. ამიტომაც შურა პაპას სრულიად სერიოზულად უთხრეს — ოთახში წევს, ცუდად არის, მაღალი სიცხე აქვსო. ამის თქმა და შურა პაპას ჩემს ოთახში გამოჩენა ერთი იყო. ჯერ პულსი გამისინჯა და შემდეგ თერმომეტრი მომაწოდა — სიცხე გაიზომეო. თერმომეტრი ბიჭებს მივაწოდე, მათ კი ტემპერატურის მაჩვენებელი 41 -მდე აწიეს. მე თავი მოვიმკვდარუნე. შურა პაპამ თერმომეტრი რომ ნახა, გაგიჟდა კაცი, თუმცა, ცდილობდა არაფერი შეემჩნია. ბიჭების შეკითხვაზე: რა სჭირს ნიკასო, არაფერი, არაფერიო — უპასუხა და გარეთ გავარდა. იქ ვიღაცას აღელვებულმა უჩურჩულა, დროზე სასწრაფოს გამოუძახეთო. ხელმეორედაც მთხოვა ტემპერატურის გასინჯვა. ბიჭებმა თერმომეტრი ისევ 41 -მდე ასწიეს. გადაირია შურა პაპა. მთავარ მწვრთნელთან, ხაჩიძესთან მივიდა და რაღაცა გადაულაპარაკა. ოთახიდან რომ გავიდა, ყველანი სიცილით დავიხოცეთ. მაგრამ თამაშის დაწყებამდე ყველაფერი დაგვავიწყდა. საცაა მატჩი დაიწყება, ჩვენ გასახდელში ვზივართ და მწვრთნელი დავალებებს გვაძლევს. ამ დროს შურა პაპა შემოდის და მწვრთნელს რაღაცას ეუბნება, თან მე მიყურებს. ცოტა ხანში ხაჩიძისგან ასეთი რამ მესმის — დღეს დაისვენებო. გამიკვირდა, რეჟიმს რა ვარღვევ, ვარჯიშებზე არ ვზარმაცობ და არც ტრავმა მაწუხებს, ნეტა ეს კაცი რას მერჩის-მეთქი. თურმე, შურა პაპას უთქვამს — ტოგონიძის ადგილი დღეს მოედანზე კი არა, საავადმყოფოშიაო. ეს თამაშის შემდეგ გავიგე და გაოცებულ შურა პაპასთან ერთად ყველამ გულიანად ვიცინეთ.

**— ბოლოს ისევ ფეხბურთზე საუბარს დავუბრუნდით. მეკარეები, საერთოდ, ფეხბურთელები ცრუმორწმუნენი არიან, მაგალითად, რინატ დასაევი შუმახერის ნაჩუქარი ხელთათმანებს თამაშის დროს კარში დებდა — გოლისგან დამიცავსო.**

— მართალი გითხრა, ამისა არაფერი მწამს. თილისმით კარს ვერ დაიცავ. მიბაძვითაც ვერავის მიბაძავ, რაც არ უნდა დიდი მეკარე იყოს. კერპად არასოდეს არავინ გამიხდია. მე ღმერთი მიფარავს და არა თილისმა.

საფეხბურთო კულუარებში დარხეულ ხმებს თუ ვირწმუნებთ, „დინამოსა" და „ბათუმის" ხელმძღვანელები მეკარეთა გაცვლაზე შეთანხმდნენ — „დინამოს" დათო გვარამაძის ბათუმში გადასვლის საფასურად თბილისელები ბათუმელ ნიკა ტოგონიძეს ითხოვდნენ. იმასაც ამბობდნენ, გოჩა ჩიქოვანიც „დინამოში" გადადისო. „დინამოს" დირექტორატის წევრმა რომან შოთაძემ უარყო ეს ხმები: — ბათუმელები თავად გვთხოვენ მოთამაშეებს და როგორღა იქნებოდა ლაპარაკი ტოგონიძისა და ჩიქოვანის „დინამოში" გადმოყვანაზე?

მერაბ მამულაშვილი

---

# სარბიელი

## ტოტალიზატორი „კროკო"

ევროპის ჩემპიონატი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 14 ივნისი | | |
| პორტუგალია - თურქეთი | | 1,25 | 3,4 | 6,2 |
| | 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,3 |
| ჩეხეთი - იტალია | | 6,2 | 2,4 | 1,25 |
| | 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| | | 15 ივნისი | | |
| შოტლანდია - ინგლისი | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| საფრანგეთი - ესპანეთი | | 2,3 | 2,4 | 2,4 |
| | | 16 ივნისი | | |
| რუსეთი - გერმანია | | 5,3 | 3,3 | 1,3 |
| | 1:0 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ხორვატია - დანია | | 1,8 | 2,8 | 3,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

### ევროპის ჩემპიონატის მოგების ფსონები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 2,0 | დანია | 20,0 |
| იტალია | 2,2 | პორტუგალია | 12,0 |
| გერმანია | 2,5 | რუმინეთი | 20,0 |
| ჰოლანდია | 5,0 | შოტლანდია | 20,0 |
| ესპანეთი | 6,0 | ბულგარეთი | 20,0 |
| საფრანგეთი | 6,0 | ჩეხეთი | 75,0 |
| ხორვატია | 8,0 | შვეიცარია | 50,0 |
| რუსეთი | 12,0 | თურქეთი | 100,0 |

ჯგუფიდან გასვლის ფსონები ადგილზე დააზუსტეთ

**ტირაჟი №35** — **CROCO-2**

1 შვეიცარია - ჰოლანდია
2 შოტლანდია - ინგლისი
3 ბულგარეთი - რუმინეთი
4 საფრანგეთი - ესპანეთი
5 ჩეხეთი - იტალია
6 რუსეთი - გერმანია
7 პორტუგალია - თურქეთი
8 ხორვატია - დანია

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი (პირველი ტაიმის შედეგი საჭირო აღარ არის). მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი (მინიმალური მოგება 40 ლარი). ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.
1 ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.
მოგების ფონდს ემატება **JACK POT** 272 ლარი

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში 13-დან 16 საათამდე
საღამოს საათებში „კროკო" იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში

## ამოდის? ნათდება?

### მეორე ჯგუფი

XXXV ტური

### დინამო 2 5:2 მერანი 91

**დინამო: ჩლაიძე, ტარყაშვილი, კობიაშვილი, დავითნიძე, სახვაძე (გემაზაშვილი 78), ქიქველიშვილი, ასათიანი (კოტორაშვილი 55), ტრაპაიძე, მაზიაშვილი, ჩუხუა, დემეტრაძე (მეტრეველი 58)**

**მერანი: ნაჭყებია, გოდერძიშვილი, ჯიშკარიანი, სულთანოვი (სირაძე 56), ელოშვილი, ივანიშვილი, კენჭიაშვილი (სუხიტაშვილი 36), ჭანტურია, ძაგანია, მაზანაშვილი, დავითაშვილი**

**1:0, 2:0 დემეტრაძე (17, 30), 3:0 ტრაპაიძე (51), 4:0 ჩუხუა (52), 4:1, 4:2 დავითაშვილი (59, 75), 5:2 კოტორაშვილი (77)**

**გაფრთხილება: ასათიანი**

**მსაჯი: მ. კობიაშვილი (დუშეთი)**

მეორე ჯგუფის ლიდერთა შეხვედრა მასპინძელთა დამსახურებული გამარჯვებით დასრულდა. დინამოელებმა სეზონში ორჯერვე დაამარცხეს მეტოქე. თუმცა მერანელებს, მარცხის მიუხედავად, I ჯგუფში გადასვლა ფაქტიურად განაღდებული აქვთ, რაშიც დარჩენილი სამი ტურის კალენდარიც უწყობთ ხელს. თანაც შეხვედრები თბილისში უნდა გამართონ:

მატჩი „დინამოელთა" უპირატესობით წარიმართა, მათ პირველივე ტაიმში იღონეს ყველაფერი მოგებისთვის. განსაკუთრებით იმარჯვა დემეტრაძემ, რომელმაც ორი გოლი გაიტანა და მეორე ტაიმში გულდამშვიდებულმა დატოვა მოედანი. დემეტრაძის დაწყებულს თანაგუნდელებმაც დაუმატეს და მერანელები კიდევ სამჯერ დატოვეს მშრალზე. დინამოელები ტაქტიკურადაც და ფიზიკურადაც უკეთ აღმოჩნდნენ მომზადებულნი და კლასითაც სჯობდნენ მოწინააღმდეგეს.

მატჩმა თვალნათლივ გამოავლინა მერანთა ნაკლოვანებები. ეს გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სერგო გაბელაიამაც აღნიშნა შეხვედრის შემდეგ. „ჩვენ — I ჯგუფში თამაში გვსურს, მაგრამ ასეთი გუნდით იქ ვერაფერს გავხდებით. — I ჯგუფში გადასვლის შემთხვევაში „მერანში" სერიოზული ცვლილებებია მოსალოდნელი, ბუნებრივია, უკეთესი შემსრულებლები დაგვჭირდება, წინააღმდეგ შემთხვევაში „დინამო", „ბათუმი", „კოლხეთი", „სამტრედია" და ყველა ლიდერი ნახევარი ძალითაც მოგვიგებს სხვა თამაშები.

არმაზი — მესხეთი 4:0
კოლაკო — ალგეთი 0:1
იბერია — აზოტი
(აზოტს ავტობუსი გაუფუჭდა და ქარელში თამაშზე ვერ გაემგზავრა, თუმცა ამან ვერ გადაარჩინა და 3:0 წაგება ჩაეთვალა)
ენერგეტიკოსი — ცხინვალი 3:2
უნივერსიტეტი — მორკინალი 0:2
აკადემია — შირაქი 6:4
მრეტები — თორი 3:1
ქინერი — ასკ 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი 91 | 33 | 25 | 4 | 4 | 88:23 | 79 |
| დინამო 2 | 33 | 25 | 3 | 5 | 92:20 | 78 |
| მორკინალი | 33 | 22 | 6 | 5 | 65:22 | 72 |
| არმაზი | 33 | 19 | 8 | 6 | 45:21 | 65 |
| აკადემია | 34 | 19 | 6 | 9 | 60:46 | 63 |
| უნივერსიტეტი | 33 | 19 | 3 | 11 | 66:37 | 60 |
| აზოტი | 33 | 17 | 6 | 10 | 59:38 | 57 |
| ასკ | 33 | 17 | 4 | 12 | 67:44 | 55 |
| ენერგეტიკოსი | 33 | 13 | 7 | 13 | 44:48 | 46 |
| ალგეთი | 33 | 13 | 4 | 16 | 41:50 | 43 |
| იბერია | 34 | 13 | 4 | 17 | 48:63 | 43 |
| ქაბუკიანი | 33 | 12 | 5 | 16 | [illegible] | 41 |
| ცხინვალი | 33 | 10 | 7 | 16 | [illegible] | 37 |
| კოლაკო | 33 | 8 | 8 | 17 | 36:66 | 32 |
| მრეტები | 33 | 8 | 6 | 19 | 29:82 | 30 |
| ქინერი | 34 | 7 | 8 | 19 | 36:83 | 29 |
| შირაქი | 33 | 7 | 8 | 18 | 42:76 | 29 |
| მესხეთი | 33 | 5 | 5 | 23 | 33:89 | 20 |
| თორი | 33 | 3 | 4 | 26 | 26:72 | 13 |

დასავლეთი

ანჯელი — ჩიხურა 5:2
სქური — სამეგრელო 0:0
შუქურა — ბახმარო 4:2
ჩხერიმელა — მეშახტე 2:0
იმერეთი — მერცხალი 4:1
რწმენა — მამისონი 2:1
კოლხეთი 2 — იაგუარი 3:2
ოდიში 2 — სამგურალი 0:4
სულორი — მაღაროელი 3:3

### დინამო ყველასთვის

„დინამოს" დირექტატორის წევრ პეტრე ქოჩაკიძისგან შევიტყვეთ, რომ „დინამო-2"-ში მოთამაშე გოჩა ტრაპაიძე ახალი სეზონიდან ბათუმში გადავა. ბათუმელებს კიდევ ერთი დინამოელი, მცველი ზურაბ არჩვაძეც შეუერთდებათ. გახოკიძე კი ინტერტოტოზე ფოთს შეეშველება.

### გოგიაშვილი სოჭში დაიტოვეს

„ჟემჩუჟინას" მწვრთნელმა არსენ ნაიდენოვმა სოჭში, საქმეში გამოსაცდელად მიიწვია გიორგი გოგიაშვილი და მისი გუნდში დატოვება აუცილებლად მიიჩნია. გიორგიმ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს, ასე რომ სოჭელთა კლუბის მეოთხე ქართველი წევრი იქნება.


### იყიდება

თეთრი, გამჭირვალე
ორგანული მინა
125 X 74
75 X 75
ტელ.: 95 22 56 (საღამოს)



კულტურის ცენტრი „ყაზბეგი"
გიწვევთ
ევროპის ჩემპიონატის მატჩების
დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26 (ყოფილი ბარნოვის № 128)
ტელ.: 294904

# კალათბურთი

# სიეტლმა სიცოცხლე გაიხანგრძლივა

მოსალოდნელი იყო, რომ „ჩიკაგო" შეწყვეტდა მეტოქის გალალებას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენდა. მაგრამ, დახეთ, რა მოხდა — ფავორიტებმა 11-ჯერ დაკარგეს ბურთი, ხოლო მასპინძლებმა — ხუთჯერ. „სიეტლმა" მეორე მეოთხედი 28:11 მოიგო, ხოლო ტაიმი — 53:32. ასეთი დიდი ანგარიშით „ჩიკაგო" ამ წლის ფლეი-ოფში არ ჩამორჩენილა. წინა „მილნევა" — 28 ქულიანი დეფიციტი „ორლანდოსთან" მეორე მატჩში ჰქონდა. მაგრამ ისიც ავლნიშნოთ, რომ „ბულზმა" ის მატჩი მოიგო.

პეიტონი ყველაზე შედეგიანი იყო პირველ ტაიმში — 13 ქულა, 6 პასი, შემდეგი დეტლეფ შრემპფი იყო — 9 ქულა. „ჩიკაგოში" 10 ქულა ლუკ ლონგლიმ დააგროვა, ხოლო მაიკლ ჯორდანმა — მხოლოდ შვიდი (9-დან 3 სროლა ჩააგდო).

„ბულზმა" მეორე ტაიმი 11:2 „გაქცევით" დაიწყო, მაგრამ მასპინძლები შემდგომში მაგრად დადგნენ. ჯორდანმა მესამე მეოთხედში 11 ქულა ჩააგდო, ტონი კუკოჩმა — 9. თითქოს საკმარისი უნდა ყოფილიყო მატჩის ამოსაქაჩად, მაგრამ „სიეტლს" ჰყავდა კემფი, რომელმაც აგრეთვე 11 ქულა გააკეთა და თავის გუნდს მესამე მეოთხედიც 21 ქულიანი უპირატესობით დაამთავრებინა. საგულისხმო ის იყო, რომ მატჩიც ასეთივე სხვაობით დასრულდა.

ეს იყო მატჩი, რომლის მიხედვითაც „სიეტლმა" დაუმარცხებელი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მისმა მოთამაშეებმა ორქულიანი სროლების 56,2 პროცენტი ჩააგდეს, ხოლო სამქულიანების — 52,9. „ჩიკაგოს" ანალოგიური მაჩვენებლები 40 და 25 პროცენტი იყო. გამარჯვების მიუხედავად, ჯორჯ კარლი მაინც ფხიზლადაა: „პარასკევს ისეთსავე მდგომარეობაში ვიქნებით, როგორც დღევანდელი მატჩის წინ. ჩვენთვის ყველა შეხვედრა გადამწყვეტია".

მას შემდეგ, რაც ნბა დაარსდა, ფინალურ სერიაში ანგარიში ცხრაჯერ იყო 3:0. ვერცერთმა ჩამორჩენილმა ვერ მოახერხა სერიაში გამარჯვება. სამ შემთხვევაში ამათ თითო თამაში მაინც მოიგეს და „მშრალ" წაგებას გადაურჩნენ.

**მიხეილ დადიანი**



წაგებული მაიკლ ჯორდანი ერთობ ნირწამხდარი ჩანს

**NBA Finals 1996**

**ჩიკაგო — სიეტლი 3:1**

12 ივნისი. სიეტლი, მეოთხე მატჩი

სიეტლი სუპერსონიქსი — ჩიკაგო ბულზი 107:86 (25:21, 28:11, 31:31, 23:23)

სიეტლი: პეიტონი (21), ჰოკინსი (18), შრემპფი (14), კემფი (25), ბრიკოვსკი; ვინგეიტი (4), პერკინსი (17), მაკმილანი (8), შეფნერი, სნოუ

ჩიკაგო: ჰარპერი (2), ჯორდანი (23), პიპენი (9), როდმანი (8), ლონგლი (12); კუკოჩი (14), კერი (5), ვენინგტონი (4), ბიუპლერი, სეილი, ბრაუნი (9)

„გამოვიდნენ და ბრწყინვალედ გვეთამაშნენ. ყველაფერი, რაც ჩვენ კვირას, მესამე მატჩში გავაკეთეთ, მეტოქემ შეისწავლა და დღეს აქეთ გაგვიკეთა. მეხუთე მატჩისთვის ცვლილებების შეტანა მოგვიწევს" — თქვა თამაშის მერე „ჩიკაგოს" მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა. მისი გუნდი, რალა თქმა უნდა, ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ „სიეტლმა", სულ ცოტა ორი დღით მაინც გადადო „ბულზის" ჩემპიონად კურთხევა.

„48 წუთის განმავლობაში ჩვენი კალათბურთი ვითამაშეთ — თქვა „სონიქსის" ფორვარდმა შონ კემფმა — ჩემპიონობა თუ გინდა, სწორედ ეს უნდა გააკეთო. პარასკევს, მეხუთე მატჩშიც ასეთივე ენერგიით და ინტენსივობით თუ ვითამაშებთ, იგივე შედეგს მივიღებთ".

„სიეტლში" გამოჩნდა ნეით მაკმილანი, რომელმაც 14 წუთი ითამაშა. მან 8 ქულა და 3 პასი გააკეთა, მაგრამ, რაც მთავარია, თანაგუნდელებს უდიდესი ემოციური მუხტი გადასცა. მწვრთნელი ჯორჯ კარლი ამბობს: „მაკმილანმა მთხოვა, აუცილებლად მათამაშეო. ვიცოდი, ტრავმის გამო მოედანზე დიდხანს ვერ გაჩერდებოდა, მაგრამ რაც ითამაშა — ბრწყინვალე იყო." პერსი ჰოკინსმაც დაადასტურა: „ნეითი ჩვენი სულიერი ლიდერია. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენგანზე მეტად სწორედ მას სურდა მოგება."

„სონიქსი" აბსოლუტურად განსხვავებულ გუნდად წარმოჩნდა ამ მატჩში. იგი თავიდანვე 8 ქულით დაწინაურდა. პირველ ნახევარში გერი პეიტონმა 8 ქულა გააკეთა, ჰოკინსმა და კემფმა — 6-6. მეორე მატჩის მესამე მეოთხედის შემდეგ „სიეტლი" ამ სერიაში პირველად ახლაღა დაწინაურდა და მეოთხედი 25:21 მოიგო.

## არა ფეხბურთითა ოდენ

# სიყვარულით — მეშვიდე ცაზე

რუსო მგალობლიშვილის რომანი ფეხბურთის სიყვარულმა განაპირობა. რუსო თბილისში, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში გაიზარდა. მან ბავშვობა იქაური გუნდის — თბილისის „დინამოს" ტრიბუნიდან ცქერაში გაატარა.

ლივერპულში 1993 წელს ჩამოვიდა სასწავლებლად, ჯონ მურის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე, სადაც ქიმიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, „ევერტონის" დიდი გულშემატკივარი ფრენკ ბრედლი გაიცნო.

რუსოს, ლივერპულის ტურიზმის ბიუროს მიერ დროებით დაქირავებულ თარჯიმანს, „ევერტონი" თავის გუნდად მიიჩნია, მაგრამ არ შეუძლია „მანჩესტერ სიტისაც" არ უქომაგოს: „სიტიში" ხომ ქართველები — ქინქლაძე და ყაველაშვილი თამაშობენ.

26 წლის რუსოს და 25 წლის ფრენკს მალე ქორწილი ექნებათ.

„ახლა ძალიან დაკავებული ვარ სწავლით, ჩემპიონატით და მომავალი ქორწილით. — ამბობს რუსო. სამწუხაროდ, ჩემი მშობლები ქორწილზე ვერ ჩამოვლენ. ამიტომ ჩემპიონატის მერე თბილისში მივდივართ, რათა ქართული ადათწესით ვიქორწინოთ. თუმც დიდი განსხვავება წესებს შორის არაა — ჩვენ საქორწინო ბეჭედს მარცხენა ხელის მაგივრად მარჯვენაზე ვატარებთ".

ჩემპიონატის დროს რუსო რუს ტურისტებს ლივერპულის დათვალიერებაში ეხმარება. ბევრი ვერ გაიგებს ბედის ირონიას — ქართველი რუსო რუსების თარჯიმანია! ევროპელთა უმრავლესობა ყოფილ საბჭოთა კავშირს ხომ დღესაც რუსეთად მოიხსენიებს. ქართველებს არ დავიწყნიათ ის ფაქტი, რომ აფხაზ სეპარატისტთა უკან რუსები იდგნენ, რამაც სისხლიანი ომი და ათასობით ქართველის დაღუპვა გამოიწვია.

საქართველოში დაბადებულ და გაზრდილ რუსოს დედა რუსი ჰყავს, ამიტომ რუსულიც კარგად იცის. „აქ ბევრმა ვერაფრით შეიგნო, რომ რუსეთი და საქართველო სხვადასხვა ქვეყნებია. მართალია, 70 წელი ერთ „კავშირში" ვიყავით, მაგრამ ენა ყოველთვის განსხვავებული გვქონდა!"

„ორი წლის წინ ფრენკი თბილისში ჩავიყვანე. მაშინ იგი კინალამ გაგიჟდა ტანკებისა და შეიარაღებული ხალხის დანახვაზე. ახლა თბილისში ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. ომის დროს თითქმის მივიწყებული ფეხბურთი ისევ პოპულარული გახდა და საერთოდაც სიტუაცია გამოსწორდა. სხვაგვარად რომ ყოფილიყო, ქორწილის გადასახდელად თბილისში არ წავიდოდი" — ამბობს ლივერპულში ჩამოსული რუსი ფეხბურთის გულშემატკივრების გიდი, ქართველი რუსო მგალობლიშვილი.

**კლერ სთოქსი**
**იან ჰარბრივსი**

„დეილი პოსტი", 12 ივნისი

## ფორმულა-1

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ სან-მარინოს დიდი პრიზის გათამაშების ორგანიზატორები 250 ათასი დოლარით დააჯარიმა იმის გამო, რომ ათასობით მაყურებელი ტრასას რბოლის დამთავრებამდე შეესია. მართალია, მაჩანჩალა პილოტებმა იფრთხილეს და მანქანები დროულად გააჩერეს, რისი წყალობითაც არავინ დაშავებულა, მაგრამ იგივე დარღვევის გამო სან-მარინოელები შარშან უკვე რომ გაეფრთხილებინათ, ამიტომ დააჯარიმეს და დამატებითაც დაექადნენ, რომ თუ ორი წლის მანძილზე მსგავსი რამ კიდევ განმეორდება, 750 ათასსაც გადაახდევინებენ.

# რაგბი



იისფერკვართა შოტლანდიას რომ ეთამაშება, „ოლ ბლექსი" თეთრად შეიმოსება და „ოლ ვაითსად" იქცევა ხოლმე

თითქმის დაუჯერებელია, მაგრამ ლუდის მოყვარული მორაგბეები, თანაც შოტლანდიელები, სასმელს პირს აღარ აკარებენ. სხვაგვარად ვერც იქნება, ვინაიდან სამოყვარულო თამაში და გართობა პროფესიულად და ხელობად ქცეულა.

# სქოთი მორაგბეები ვეღარ ლოთობენ

**შოტლანდიის** ნაკრები ახალ ზელანდიაში მოგზაურობს. ხვალ სქოთებს სამხრეთი კუნძულის ქალაქ დანიდინში, ოთაგოს ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი რომაა, პირველი ტესტი ელით. როგორც გუნდის კაპიტანი რობ ვეინრაითი ირწმუნება, ბიჭებს პირობა დაუდიათ, ტურნეს დროს რეჟიმს განუხრელად დავიცავთო.

„ნარშავებმა" პირველ ტესტამდე ხუთი თამაში გამართეს:

28 მაისს ვანგანუიში 49:13 მოუგეს მესამე ჯგუფის იქაურ გუნდს.

31 მაისს ვანგარეიში, თავსხმაში 10:15 წააგეს მეორე ჯგუფში მოასპარეზე ნორთლენდთან (ჩრდილოეთ ოქლენდთან). მასპინძლებმა 5 საჯარიმო შეაგდეს.

5 ივნისს ჰამილთონში 35:39 დამარცხდნენ ზე-12-ის მონაწილე ვაიქათოსთან. სქოთები იგებდნენ, მაგრამ ბოლო წუთზე დიონ მიუირმა ლელო გაუტანათ.

ამის შემდეგ შოტლანდიამ კუნძულთა გამყოფი ქუქის სრუტე გადასერა და

8 ივნისს ინვერქარგილში ჯახირ-ჯახირ 31:21 (13:14) (3ლ-3ლ) აჯობა მეორე ჯგუფის საუთლენდს, ნაკრების ორი წევრი — ქლეინი და პენდერსონი რომა ჰყავს,

11 ივნისს კი ბლენემში 63:21 მოუგო სამხრეთი კუნძულის რიგითი პროვინციების ნაკრებს.

შოტლანდია ზელანდიაში წინა ჯერზე 1990 წელს იყო. მაშინ გუნდს ხუთი ერის პირველობაზე დიდი სლემი ჰქონდა მოგებული, მაგრამ „დიდი გრძელი ღრუბლის ქვეყანაში" ორივე ტესტი მაინც წააგო — 16:31 (დანიდინში) და 18:21 (ოქლენდში), რაც სულაც არაა გასაკვირი, ვინაიდან აქამდე გამართულ 18 თამაშიდან 16 „ოლ ბლექსს" მოუგია, შოტლანდიას კი ოდენ იმისთვის მიუღწევია, რომ შინ, მარიფილდში ზელანდიას ორჯერ — 1964 და 1983 წლებში ფრე გაუგორა.

სქოთებს ტურნეზე ბევრი არავინ აკლიათ. ერთი ეგაა, რომ ძირითადი 9 ნომერი ბრაიან რედფასი დაშავებულია და შერკინების ნახევარმცველად რიგ-რიგობით თამაშობენ ვეტერანი გარი არმსტრონგი და ენდი ნიქოლი. მეორეც, ზელანდიაში არ წაუყვანიათ დამრტყმელი მაიქლ დოდზი. უფროსობამ ეს გადაწყვეტილებამ იმით ახსნა, რომ თურმე ხუთი ერის პირველობა ერთობ განსხვავდება ცხრა ზღვას იქით მოგზაურობისაგან, რის გამოც მოთამაშეების შერჩევის კრიტერიუმიც სხვაგვარიაო. რაც შეეხება 10 ნომერს, აშკარაა, რომ არმსტრონგივით ვეტერანი ქრეგ ჩალმერსი ვერ აჯობებს გრეგორ თაუნზენდს, რომელიც უფრო თანამედროვე მოთამაშედ მიიჩნევა.

**ზელანდია 51-10 სამოა**

პარასკევი, 7 ივნისი. ნეიპირი

ოლ ბლექსი: ქალენი*; ვილსონი, ბანსი, მაკლეოდი*, ლომუ; მერთენსი, მარშალი; დაუდი, ფითსპატრიქი (კაპიტანი), ბრაუნი; ი. ჯოუნზი, რ. ბრუქი; მ. ჯოუნზი, კრონფელდი, ზ. ბრუქი (* ახალბედებს უზით) — 7ლ: ქალენი - 3, ვილსონი, მარშალი, მაკლეოდი, ბრაუნი; 5გ, ს და ა: მერთენსი

მანუ სამოა: ფაამასინო (სამანია); ლიმა, ვაეგა, ლეაუპეპე, ტელეა; ფილემუ, ნუუალიტიაა; რიდი, ლეიასამავაიო, ფატიალოფა; ლეავასა, ფალანიკო; სმითი, ვაიფალე, ლემი (კაპიტანი). — ლ: ტელეა; გ და ს: ფაამასინო

მერთენსმა მე-2 წუთზე არეკნით გახსნა ანგარიში. სამოამ უმალ საჯარიმოთი გაათანაბრა. მე-14 წუთზე ჰონკონგის შეიდკაცას გმირსა და ნაკრების დებიუტანტს, ველინგთონელ ქრისთიან ქალენს სამოელები უმოწყალოდ მოექცნენ. საჯარიმო მერთენსმა შეაგდო, ორ წუთში კი „ოლ ბლექსის" უკანა ხაზმა გაათამაშა ბურთი და ქალენმაც კუთხეში დაყვინა 13:3.

მერე სამოა სოლო ლელოთი წამოეწია მასპინძლებს 10:13, მაგრამ „ოლ ბლექსის" კაპიტანმა ფითსპატრიქმა მერთენსს ხელი აალებინა კარში დარტყმაზე და მორკინალები მეტოქეზე დაგეშა. სამოა წელ-წელა გატყდა, მერთენსმა კი დიდი ტაქტიკური დარტყმები განახორციელა: ჯერ ვილსონს ლელოსკენ გაუგორა ბურთი, რაც ამ გარემარბის მე-10 ტესტ-ლელოთი დაგვირგვინდა, მეორედ კი თავად დაეუფლა ბურთს და იგი ქალენს გადაუგდო.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა კიდევ ოთხი ლელო გაიტანეს. ფითსპატრიქმა შევებით ამოისუნთქა, სატესტო სეზონის ერთი მეათედი გადავაგორეთო, სამოას ნაზელანდიარმა კაპიტანმა პატ ლემმა კი თავისი ბიჭები ლამის იყო გმირებად გამოიყვანა და „ოლ ბლექსის" მომავალ მეტოქეებს დაექადნა, ნახეთ, რა დღეს დაგაყრიანო.

**სამხრეთის** კიდევ ერთმა ევროპელმა სტუმარმა — უელსმა ისევ წაიფორხილა. კელტებმა გუშინწინ ისევ ბრისბენში ითამაშეს — ამჯერად ავსტრალიის „ბ". ნაკრებთან და ისევ დამარცხდნენ 41:51 (15:24) (6ლ-9ლ). „ვოლაბებმა" შაბათის პირველი ტესტის 56:25 მომგები შემადგენლობიდან ცხრა კაცი დაასვენეს და მეორე ტესტის წინ, 22 ივნისს სიდნეიში რომ გაიმართება, სხვებსაც მისცეს თავის გამოჩენის შანსი. ჰოდა, ქვინზლენდის შუამარბმა დანიელ ჰერბერთმაც ერთბაშად სამი ლელო გაიტანა. მის მაგივრად სატესტო ნაკრებში ათამაშეს კანბერელი ჯო როფი, რომელიც სხვაფრივ გარემარბია.

**საფრანგეთის** ჩემპიონი ზედიზედ მესამედ, სულ კი მე-13-ედ გახდა ევროპის ჩემპიონი „ტულუზი", ვინაც 1 ივნისს, პარიზში, „პარკ დე პრენსზე" ფინალი 20:13 მოუგო „ბრივს". თამაშის დამთავრებამდე 9 წუთი რომ რჩებოდა, ჩემპიონი ერთ ქულას აგებდა, მაგრამ გარემარბმა ბერტიმ ლელო გაიტანა, შუამარბმა კასტენიედმა კი — არეკნი. წინა ჯერზე ზედიზედ სამჯერ პირველობა მოუგია „ლურდს". ეს 1956-58 წლებში მოხდარა. ზემოთხსენებული სამივე კლუბი სამხრეთი საფრანგეთისაა — რაგბი ხომ უფრო იქაა გავრცელებული და ყველა მცირე ქალაქსაც ძლიერი გუნდი ჰყავს.

**ბრიტანელი ლომები** ანუ ოთხივე ბრიტანული ქვეყნის ნაკრები 1997 წლის მაის — ივლისში სამხრეთ აფრიკას უნდა ეწვიოს 13-მატჩიან ტურნეზე, რომლის პროგრამაშიც სამი ტესტია. ოთხშაბათს „ლომების" მენეჯერად დაინიშნა ინგლისის ნაკრების ყოფილი ბურჯი ფრენ ქოთონი, ვისაც 1971-81 წლებში 31 კეპი მოუხვეჭია, სამხრეთ აფრიკას კი სამჯერ სწვევია — 1972 წელს ინგლისის შემადგენლობაში, 1974 და 1980 წლებში კი — „ლომად". ბოლო ტურნეზე ქოთონს გულის კუნთის ინფექცია შეყრია და შინ გაგზავნიათ. მაშინ კაპიტანი ყოფილა ბილ ბომონი, ვისაც ქოთონმა მენეჯერის წლევანდელ არჩევნებში აჯობა.

საქართველოს XXIX ჩემპიონატი

**„ქორწილმა" დაკორტნეს „ყოჩები"**

წუხელ, ვაკეში, ლიდერი „ქორწილი" წელს პირველად დამარცხდა. მისი მეტოქე „ყოჩები" ნახევარი 20 წუთში 13 ქულით დაწინაურდნენ, საბოლოოდ კი 16:12 გაიმარჯვეს. ამით იმერთ „ქორწილი", რომელიც მანამდე, იქვე 34:14 დამარცხა „დინამო" და „ყოჩებს" ქულებით გაუთანაბრდა.

დღეს, ვაკეშივე, 7-ის ნახევარზე „ბ" ჯგუფის მატჩია: ასკ — „უნივერსიტეტი".

ვასრულებთ ყველა სახის ელექტრო, გაჯისა და სამღებრო („სამალიარო") სამუშაოებს შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (3 საათის შემდეგ) იკითხეთ თემური, ბიჭიკო

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29